პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 105 (20801) — შაბათი, 5 მაისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის სახელმწიფო პროგრამის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის მიერ მოწონებული საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამა.

ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას დაევალა უზრუნველყონ პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უთუო და დროული შესრულება.

საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დავალებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ და საქართველოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოებამ შეიმუშავეს და 1989 წლის 7 თებერვალს გამოაქვეყნეს საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის პროექტი.

პროგრამის პროექტი განიხილა, ძირითადად მოიწონა და შეიტანა რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობამ.

პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ორგანიზაციას, კოორდინაციასა და კონტროლს უზრუნველყოფენ ზემოდასახელებული, უწყებანი და საისტორიო კვლევითი თუ სასწავლო დაწესებულებანი.

ქვემოთ მოცემულია პროგრამის პროექტის შევსებული, საზოგადოებრიობის მიერ მოწოდებული შენიშვნების, წინადადებებისა და მოსაზრებების მიხედვით შესწორებული ვარიანტი.

პრობლემები და საკითხები	შემსრულებელი	შესრულების ვადა	კონტროლი
I. საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევა			
1. სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა კვლევითი გეგმების გადასინჯვა და დაზუსტება	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	საჭიროების მიხედვით	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
2. საარქივო ფონდებში მუშაობის არსებული სისტემის სრულყოფა	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია	რეგულარულად	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
3. საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის არქივებში საქართველოს ისტორიის უცნობ წყაროთა გამოვლენა და გამოკვლევა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ინსტიტუტები, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს ე. თაყაიშვილის სახ. საისტორიო საზოგადოება, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	1990-2005	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
4. საქართველოს ისტორიის წყაროების გამოსაცემად მომზადება:	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის დ. გულიას სახ. ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	1991-2000	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
— „ქართლის ცხოვრების“ ცალკეულ თხზულებათა ტექსტებისა			
— „ქართლის ცხოვრების“ ენციკლოპედიისა			
— „ქართლის ცხოვრების“ სიმფონიისა			
— ქართული საისტორიო სიმღერების მრავალტომეულისა			
— ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მრავალტომეულისა			
— შუა საუკუნეთა ქართული საისტორიო პოეზიის კრებულისა			
— უცხოენოვანი წყაროებისა			
— საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის დოკუმენტური და სხვა მასალების კრებულებისა			
— დოკუმენტების კრებულისა „საქართველოს სსრ დიდ სამამულო ომში“			
— ახალი და უახლესი ხანის მოღვაწეთა პირადი არქივებისა			
— უცხოეთში მოღვაწე ქართველი და არაქართველი ისტორიკოსების ქართველოლოგიური ნაშრომებისა			
— წერილობითი წყაროებისა აფხაზთა და ოსთა ისტორიის შესახებ			
— მონოგრაფიების სერიისა სხვა ხალხებთან ქართველი ხალხის ურთიერთობის შესახებ			
— რესპუბლიკის ისტორიკოს მკვლევართა ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობისა			(დასასრული მე-2 გვ.).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ

მუხლი 1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი სუვერენული სოციალისტური ფედერაციული სახელმწიფოა. სსრ კავშირს აქვს უფლებამოსილებანი, რომლებსაც ფედერაციის სუბიექტები ერთობლივად მიაკუთვნებენ სსრ კავშირის გამგებლობას.

მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოებია, რომლებიც ნებაყოფლობით, ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე გაერთიანდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად, მოკავშირე რესპუბლიკებს აქვთ მთელი სახელმწიფო ძალაუფლება თავიანთ ტერიტორიაზე მათ მიერ სსრ კავშირის გამგებლობაში გადაცემულ უფლებამოსილებათა ფარგლებს გარეთ.

ავტონომიური რესპუბლიკები საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოებია, რომლებიც წარმოადგენენ ფედერაციის — სსრ კავშირის სუბიექტებს. ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ფორმირებანი შედიან მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე, აქვთ მთელი სახელმწიფო ძალაუფლება თავიანთ ტერიტორიაზე მათ მიერ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში გადაცემულ უფლებამოსილებათა ფარგლებს გარეთ.

ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ფორმირებების ურთიერთობას მოკავშირე რესპუბლიკებთან, რომელთა შემადგენლობაში ისინი შედიან, განსაზღვრავს შეთანხმებები და ხელშეკრულებანი, რომლებიც დადებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და ამ კანონის ფარგლებში.

მუხლი 2. ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას უნარჩუნდება სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება. სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მოკავშირე რესპუბლიკის ხალხთა თავისუფალი ნება-სურვილის გამოხატვით რეფერენდუმის (სახალხო კენჭისყრის) გზით.

სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონი.

მუხლი 3. მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ფორმირების ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მათი თანხმობის გარეშე.

მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს მათი ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა დამტკიცოს სსრ კავშირმა.

მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ფორმირებებს შორის ტერიტორიული დავა, რომლის გამო მათ შორის შეთანხმება არ ყოფილა მიღწეული, შეიძლება ურთიერთთანხმობით გადასაწყვეტად გადაეცეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს.

მუხლი 4. მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოკრუგი, ავტონომიური ოკრუგი დამოუკიდებლად წყვეტენ საწარმოო და სამეურნეო ობიექტების განლაგების საკითხებს, უზრუნველყოფენ კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განვითარებას თავიანთ ტერიტორიაზე იქ მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესების გათვალისწინებით. შრომითი რესურსების გამოყენებისა და ბინადრობის გარემოს დაცვის საკითხებზე სსრ კავშირის და სხვა მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოკრუგების შესაბამისი ეროვნული ეკონომიკური საქმიანობის საერთო-საკავშირო სისტემების, აგრეთვე იმ ობიექტების მართვა, რომლებიც საერთო-საკავშირო საწარმოო საკუთრებას მიეკუთვნება სსრ კავშირის კანონმდებლობისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შეთანხმებათა შესაბამისად; ხელჩადი ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგში ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს იგივე უფლებები, რაც მოკავშირე რესპუბლიკას, გარდა იმ უფლებებისა, რომლებიც მათ შორის შეთანხმებით განეკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას.

მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ფორმირებებს შეუძლიათ ერთმანეთთან ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული თანამშრომლობა და დადონ ამისათვის საჭირო ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებანი, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სსრ კავშირის, სხვა მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ფორმირებების ინტერესებს.

მუხლი 5. მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს დაამყაროს ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან, დადოს მათთან ხელშეკრულებანი, გაუცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობანი, განაზორციელოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობანი და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში.

მოკავშირე რესპუბლიკის ამ უფლების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სსრ კავშირის კანონებს და სსრ კავშირის საერთაშორისო ვალდებულებებს.

მუხლი 6. მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით განეკუთვნება:

1) სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღება, კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანა, გადაწყვეტილებათა მიღება იმ საკითხებზე რეფერენდუმის მოწყობის შესახებ, რომლებიც განეკუთვნება სსრ კავშირის უფლებამოსილებას;

2) სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალი მოკავშირე რესპუბლიკების მიღება, ახალი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების და ავტონომიური ოკრუგების შექმნის და არსებულთა სტატუსის შეცვლის დამტკიცება;

3) მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ფორმირებებს შორის დავის გადაწყვეტა იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამ საკითხზე მმართავენ სსრ კავშირის ორგანოებს;

4) სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის და მისი რეჟიმის განსაზღვრა;

5) სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობის ორგანიზაცია და რეგულირება;

6) საკავშირო ბიუჯეტის შედგენა, დამტკიცება და შესრულება, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკების სისტემის, ერთიანი ფულადი სისტემის, საერთო-საკავშირო გადასახადებისა და მოსაკრებლების დაწესება;

7) ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შემუშავება, საერთო-საკავშირო პროგრამების შედგენა და რეალიზაცია;

8) სსრ კავშირის მიერ საზღვარგარეთ ფიზიკური პირების მიცემა და ეკონომიკური დახმარების გაწევა უცხოეთის სახელმწიფოებისათვის, შეთანხმებათა დადება სახელმწიფო სესხისა და კრედიტების შესახებ, რომლებსაც სსრ კავშირი იღებს უცხოეთის წყაროებიდან;

9) სსრ კავშირის რკინიგზის, საჰაერო, საზღვაო და მაგისტრალური მილსადენი ტრანსპორტის, თავდაცვითი ობიექტების, კოსმოსური კვლევის, ერთიანი ენერგეტიკული სისტემის, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საერთო-საკავშირო სისტემების, აგრეთვე იმ ობიექტების მართვა, რომლებიც საერთო-საკავშირო საწარმოო საკუთრებას მიეკუთვნება სსრ კავშირის კანონმდებლობისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შეთანხმებათა შესაბამისად;

10) სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა და სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებების დარგში ავტორიზებული მშენებლობის დარგში ავტონომიურ რესპუბლიკებს მონაწილეობა;

11) მშვიდობისა და ომის საკითხები, სსრ კავშირის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვა, საბაჟო საქმის ორგანიზაციის პრინციპების დადგენა საბაჟო ტერიტორიის, საბაჟო გადასახადებისა და საბაჟო მოსაკრებლების ერთიანობის საფუძველზე;

12) თავდაცვის ორგანიზაცია, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო, შინაგანი და სარკინიგზო ჯარების ხელმძღვანელობა, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა;

13) სსრ კავშირის სასამართლოების შექმნა, სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის ერთიანი სისტემის დაწესება.

მუხლი 7. ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სსრ კავშირის უფლებამოსილებანი ვერ გაფართოვდება ფედერაციის სუბიექტების თანხმობის გარეშე.

მუხლი 8. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივი გამგებლობის სფეროებში სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებს გადაეცემა:

1) საბჭოთა მოქალაქეებისა და მათი საზოგადოებრივი გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლების დადგენა, სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მათი ცხოვრების ადგილის მიუხედავად;

2) ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ფორმირებების, აგრეთვე ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სამართლებრივი მდგომარეობის ზოგადი საწყისების დადგენა; მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ფორმირებებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა; ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების განსაზღვრა;

3) სამოქალაქო, მიწის, სატყეო, წყლის, მთის, სისხლის სამართლის, სისხლისსამართლებრივ-აღმასრულებელი, საფინანსო, შრომის კანონმდებლობის, სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების, სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების კანონმდებლობის საფუძვლების დადგენა;

4) სამართლებრივი საფუძვლების დადგენა, რომლებიც უზრუნველყოფს საერთო-საკავშირო ბაზრის ფუნქციონირებას და მის დაცვას ყველა რესპუბლიკის ინტერესებისათვის;

5) საერთო საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის და ფასწარმოქმნის საფუძვლების განსაზღვრა;

6) შრომითი რესურსების გამოყენების, შრომის ანაზღაურებისა და დაცვის დარგში პოლიტიკის ზოგადი საწყისების დადგენა;

7) კულტურისა და განათლების, სამეცნიერო კვლევისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების წარმართვა, კოორდინაცია და სტიმულირება;

8) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და დანაშაულთან ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა;

9) უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთობის ზოგადი წესის დადგენა, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა;

10) სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის დადგენა;

11) სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე სსრ კავშირის კონსტიტუციის დაცვის უზრუნველყოფა.

მუხლი 9. სსრ კავშირს შეუძლია მოკავშირე რესპუბლიკასთან შეთანხმების დადების გზით გადასცეს მას თავის ტერიტორიაზე სსრ კავშირის ცალკეულ უფლებამოსილებათა განხორციელება.

მოკავშირე რესპუბლიკას შეუძლია სსრ კავშირთან შეთანხმების დადების გზით გადასცეს მის კომპეტენციაში ცალკეული თავისი კუთვნილი უფლებამოსილებანი.

მუხლი 10. იმ შემთხვევებში, როცა ესა თუ ის საკითხი, რომლებიც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივი გამგებლობის სფეროს განეკუთვნება, არ არის გადაწყვეტილი სსრ კავშირის კანონით, მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს დამოუკიდებლად განახორციელოს შესაბამის დარგში ურთიერთობის საკანონმდებლო რეგულირება. ამასთან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ფორმირებების გამგებლობის საკითხები რეგულირდება მათთან შეთანხმებით.

მუხლი 11. სსრ კავშირის კონსტიტუცია, სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სხვა აქტები სავალდებულოა სრულდებოდეს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე. თუ მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების კანონები და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სხვა აქტები ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას, მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუცია. თუ მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების კანონები და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სხვა აქტები ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას, სსრ კავშირის კანონებს და სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სხვა აქტებს, მოქმედებს სსრ კავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ გამოცემული აქტები.

სსრ კავშირის კანონები და სსრ კავშირის ორგანოების სხვა აქტები გამოიცემა მხოლოდ სსრ კავშირის უფლებამოსილებათა ფარგლებში და არ უნდა არღვევდეს მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უფლებებს.

მუხლი 12. სსრ კავშირისა და მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებს შორის უთანხმოებანი მათი აქტების კანონიერების გამო განიხილება სსრ კავშირის კონსტიტუციით და სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის შესახებ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 13. მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს უფლება აქვთ გააპროტესტონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი, თუ ისინი არღვევენ მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის უფლებებს. სადავო საკითხს წყვეტს სსრ კავშირის უზენაესი საბჭო.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ თავიანთ ტერიტორიაზე სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების აქტების მოქმედება მათ მიერ სსრ კავშირის ან შესაბამისი მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში და აცნობონ ეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. სადავო საკითხს წყვეტს სსრ კავშირის უზენაესი საბჭო იმ შემთხვევაში, თუ სსრ კავშირის შესაბამისი ორგანოს აქტის მოქმედება შეაჩერა მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ — იმ შემთხვევაში, თუ სსრ კავშირის შესაბამისი ორგანოს აქტის მოქმედება შეაჩერა მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი, 1990 წლის 26 აპრილი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. „ზოგიერთ კონსტიტუციურ საკითხზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს და საკონსტიტუციო კომისიისადმი დავალებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის 1989 წლის 19 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ეს კანონი მისი გამოქვეყნების მომენტიდან.

2. მიჩნეულ იქნეს „სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის დებულებანი სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა განახლების საფუძველად.

3. დადგინდეს, რომ სანამ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობას შეუსაბამებდნენ სსრ კავშირის კანონს „სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირის მოქმედი კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

5. წარედგინოს „სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის დებულებანი და წინადადებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამის ცვლილებათა თაობაზე დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეოთხე ყრილობას.

6. წინადადება მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს შეუსაბამონ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ლუკიანოვი.

მოსკოვი, კრემლი, 1990 წლის 26 აპრილი.

გვითხარი რამე

პირველთაგან იყო ხიტყვა.

შეიძლებოდა დაგვეწყო სხვაგვარად, მაგრამ ამით რეალობას დავშორდებოდით.

ხაკვირველია, როცა ქვეყანა თავზე გვექცევა, როცა გვშია და გვწყურია, სულიერი სიღატაკე დაგვეუფლა, თვალი მაინც განზე მიგვირბის და ვცდილობთ, მეტი ვწეროთ და ვიკითხოთ.

გამოდის, ძალაუნებურად გამოუსწორებელი იდეალისტები ვართ.

ამაში განსაკუთრებით საზიანო არაფერია.

პირიქით, მხოლოდ იმას ვადასტურებთ, რომ ვმაღლდებით ყოველდღიურობაზე, ვუახლოვდებით იმას, რაც ადამიანში ყველაზე მეტად ადამიანურია.

და მაინც ხაეჭვმანოს რა გამოლევს.

პირველი ხაკვიმატო ისაა, რომ იქნებ ხაქმის დაწყება გვემჯობინებინა.

შემდეგ, რასაც ვწერთ და ხაქვეყნოდ ვაცხადებთ, განა ყველაფერი აწონილ-დაწონილი და გონების ქურაში გადადნობილია?

ანდა, რა ვუყოთ ხაკუთარ ხინდიხს, როცა თავიდანვე ხიყალბისაკენ მიდრეკილებს გვიბარია წუხლის ნაცვლად, აღფრთოვანებულები ვართ უმიზეზოდ, ვუვერით დუმილის მაგიერ, და ახე ხდება მაშინ, როცა ბალხი ჩვენგან მოუთმენლად მოელის ნამდვილად ხათქმელს.

და მაინც ვწერთ და ვკითხულობთ.

ამით დიდ პასუხისმგებლობას ვტვირთულობთ.

ჯერ მწერლებზე მოგახსენებთ. მაერიგით გვპირდება სიმართლე, მოვლენების არსში წვდომა, გადაჭრით უარის თქმა იმაზე, რაც ცხოვრებამ ბუნებრივად უკუაგდო. ეს ებება მეურნეობრიობის ფორმებსაც, მართვა-გამგებლობასაც, ცხოვრების წესსაც ხაზოგადოდ.

შემდეგ კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა. ერთმანეთისაგან უნდა ვისწავლოთ.

ერთი სიტყვით, მწვერვალის მიხედგომებთან ვდგავართ.

თავიდან უნდა დავიწყოთ ყველაფერი თუ არა, ძირითადი მაინც.

ეს ძირითადი კი არის ჭკუა და პატიოსნება.

ისტორიული წარსულისა და აწმყოს ღრმად გააზრება და შეფასება.

ამის საფუძველზე ყველაზე გონივრული და გამართლებული გზების გამოძებნა.

დღეს პრესის დღეა. ეხე იგი, მწერლისა და მკითხველის დღე.

ერთმანეთად ვერ გავძლებთ.

არც უნდა გავძლოთ.

გვიყვარდეს ხამშობლო, რომელიც ერთი გვაქვს, შეუცვალელი და განუყოფელი.

გვიყვარდეს ხაქართველო!

ფეხვედრები რუსთავში

8 მაისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ განაგრძო შეხვედრები რუსთავის შრომითს კოლექტივებთან. იგი იყო საწარმოო გაერთიანების „ქიმბოჭკოსა“ და „აზოტის“ საამქროებში, ესაუბრა ამ საწარმოების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, გამოიკითხა, თუ როგორია მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, შრომითი კოლექტივების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივები.

კერძოდ, საფუძვლიანი დიალოგი გაიმართა საწარმოო პროცესის სრულყოფასთან, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, რომლებიც არა მარტო უზრუნველყოფენ წარმოების ზრდასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ ეკოლოგიური სისუფთავის გარანტიასაც იძლევიან. აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით ახლა ბევრი რამ კეთდება ორივე საწარმოში. საჭიროა განვამტკიცოთ მიღწეული და ვიაროთ წინ, გავაღრმოთ საქმიანი ეკონომიკური ურთიერთკავშირი პარტნიორებთან, მივაღწიოთ არა ნახევარფაბრიკატის, არამედ მაღალხარისხოვანი სამოლოო პროდუქციის გამოშვებას, შეექმნათ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ყველა პირობა. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს კადრების დენაღმობის შეკავება, ახალგაზრდა მუშათა და სპეციალისტთა დამკვიდრება წარმოებაში, ბინით, სოციალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებით მათი უზრუნველყოფა.

საწარმოთა კომუნისტებთან შეხვედრების დროს სჯა-ბაასი გიმართა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობისათვის მზადების მიმდინარეობის, იმ არეთუ იოლი ამოცანების შესახებ, რომლებიც ამ ეტაპზე დგას რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა წინაშე.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტში გ. გ. გუმბარიძე შეხვდა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატებს რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან.

მასთან ერთად იყვნენ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ი. ხაზარაძე და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. ო. დალაქიშვილი. (**საინფორმი**).

საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის

სახელმწიფო პროგრამა

(დასასრული)

პრობლემები და საკითხები	შემსრულებელი	შესრულების ვადა	კონტროლი
5. საქართველოს ძველი, შუა საუკუნეთა და ახალი ისტორიის ყოველმხრივი კვლევის გაფართოება	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ინსტიტუტები, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	1990-2000	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
6. საქართველოს უახლესი და რევოლუციის წინა ხანის ისტორიის კვლევის ძირეული გარდაქმნა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები	1990 წლიდან	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
7. XX საუკუნის საქართველოს ეროვნული მოძრაობის პრობლემების კვლევა	ერთაშორისი ურთიერთობების კვლევის ცენტრი	1990-2000	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
8. „საქართველოს ისტორიის“ ერთტომეულის მომზადება	ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი	1990-1995	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
9. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VI, VII და VIII ტომების რუსული გამოცემის მომზადება	ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი	1990-1995	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
10. ქართული კულტურისა და საბჭოთა კავშირის ერებთან და ეროვნებებთან ქართველი ერის კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა ისტორიის კვლევის გაძლიერება	გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, ეროვნებათშორისი ურთიერთობის კვლევის ცენტრი, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	1991-1995	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
11. აფხაზებისა და სამხრეთ ოსების ისტორიისა და კულტურის საკითხების კვლევის გაძლიერება	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ინსტიტუტები, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	1990 წლიდან	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
12. რესპუბლიკაში თანამედროვე ეროვნებათშორისი ურთიერთობის კვლევის გაუმჯობესება	ეროვნებათშორისი ურთიერთობების კვლევის ცენტრი	1991-1995	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
13. ქრისტიანობისა და სხვა რელიგიათა ისტორიის კვლევის გაფართოება	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ინსტიტუტები, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	1991-2000	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
14. შექმნა ნაშრომებისა: — „ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორია“ — „ქართველი ერისა და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების დემოგრაფიული ისტორია“ — „ქართველი ერი“ (გზამკვლევი)	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ფილოსოფიის ინსტიტუტი, ეროვნებათშორისი ურთიერთობების კვლევის ცენტრი	1991-2000	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა
— „საქართველოს ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის პრობლემები“	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ინსტიტუტები	1990-2000	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი
15. რესპუბლიკური, საკავშირო, საერთაშორისო დისკუსიებისა და სიმპოზიუმების ჩატარება ქართული ცივილიზაციისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	პერიოდულად	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო
16. საქართველოს ისტორიის პრობლემებზე მომუშავე სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა კვლევის კოორდინაცია	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია	რეგულარულად	
17. ისტორიკოს მეცნიერთა ახალი კადრების მომზადება როგორც რესპუბლიკის, ისე საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1990-1995	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
II. საქართველოს ისტორიის სწავლება			
1. დაწყებითი სკოლის მოსწავლეთათვის მშობლიური ისტორიის პოპულარული წიგნის მომზადება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1990-1995	
2. საშუალო სპეციალური და ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებისათვის საქართველოს ისტორიის კურსის ახალი პროგრამების მომზადება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	1990-1991	
3. საშუალო სპეციალური და ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მასწავლებლებისათვის საქართველოს ისტორიის მეთოდიკური და კლასგარეშე ლიტერატურის მომზადება	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1990-2000	
4. საშუალო სკოლის V კლასისათვის საქართველოს ისტორიის ხელახალი გადამუშავებული სახელმძღვანელოს გამოცემა რესპუბლიკის სკოლებში სწავლების ყველა ენაზე	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1990-1991	
5. „საქართველოს ისტორიის“ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის მომზადება და ორივე ნაწილის გამოცემა რესპუბლიკის სკოლებში სწავლების ყველა ენაზე	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1990-1991	
6. საქართველოს ისტორიის სწავლების უზრუნველყოფა რესპუბლიკის ყველა სკოლაში	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1990 წლიდან	
7. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ისტორიის ფაკულტეტებზე საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ისტორიოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, რელიგიის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, ხელოვნების, ქართული სამხედრო ხელოვნების, სამართლის, კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის, ქართული მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის პალეოგრაფიის, ნუმიზმატიკის, არქივისა და მუზეუმმცოდნეობის სწავლების გაძლიერება და ამისათვის ხელის შეწყობა დასახელებულ ისტორიულ დისციპლინათა სახელმძღვანელოების შექმნით	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1991-1995	
8. საქართველოს ისტორიის კურსის სწავლების შემოღება რესპუბლიკის ყველა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1990 წლიდან	
9. უმაღლეს სასწავლებელთა ისტორიის ფაკულტეტებისათვის საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს, ხოლო სხვა ფაკულტეტებისათვის სახელმძღვანელოს შექმნა სწავლების ყველა ენაზე.	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ შეცნიერებათა აკადემია, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	1991-1992	
10. უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებისათვის საქართველოს ისტორიის ქრესტომათიის მომზადება ქართულ და რუსულ ენებზე	თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	1991-1994	
11. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუზეანტარული ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების ფონდების მომარაგება უცხოური ისტორიოგრაფიული ნაშრომებით (განსაკუთრებით კავკასიის შესახებ) და ზოგი მათგანის თარგმნა ქართულად.	საქართველოს სსრ სახალხო განათლებისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია	რეგულარულად	
12. საშუალო სკოლების უფროს კლასებში ჩამოყალიბება სხვადასხვა პროფილის საისტორიო წრეებისა, რომლებსაც უხელმძღვანელებენ მეცნიერი ისტორიკოსები	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია	1990 წლიდან	
III. საგამომცემლო საქმე			
1. გამოიცეს: — „ქართლის ცხოვრება“ (საკითხავი წიგნი) — „საქართველოს ისტორია (საკითხავი წიგნი) — „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ ტომეულები (რუსულად)	საქართველოს სსრ ბეჭდვსახკომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭო	1990-1991	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
2. დაარსდეს სამეცნიერო-პოპულარული ისტორიული ჟურნალი	ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი	1990-1995	
3. გამოიცეს სერიულად: — „საქართველოს ქალაქები და სოფლები“ — „ქართული და კავკასიური ცივილიზაციის ისტორიის საკითხები“ — „სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევები საქართველოს ისტორიაში“	საქართველო სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება		
4. მომზადდეს და გამოიცეს: — „საქართველოს დიდ სამამულო ომში“ (ორტომეული) — „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა ნუსხა“ (მრავალტომეული) — „ქართული საისტორიო მეცნიერების ისტორია“ (სამტომეული) — „აფხაზთა სამეფოს“, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (სამცხე, ჯავახეთი, ტაოკლარჯეთი, აჭარა), შიდა ქართლის, ქვემო ქართლის ისტორია	ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია	1990-1995	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
— კავკასიის ერებთან და ეროვნებებთან, საქართველოში მცხოვრებ ეროვნებებთან და ეთნიკურ ჯგუფებთან ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის ამსახველი გამოკვლევები — „ქართული კულტურის ისტორია“ (სამტომეული) — „ქართული ხელოვნების ისტორია“ (მრავალტომეული)	ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, აფხაზეთის დ. გულიას სახ. ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	1990-2000	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
— „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია“ (ოთხტომეული)	ფილოსოფიის ინსტიტუტი		
— „ქართული ეკონომიკური აზროვნებისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის“ ნარკვევები	ეკონომიკის ინსტიტუტი		
— „ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები“ (ორტომეული)	სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრი		
5. გამოიცეს საქართველოს ისტორიის რუკები: — „ვახუშტი ბაგრატიონის ატლასი“ — „საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ატლასი“	ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ გამსახკომი, საქართველოს ე. თაყაიშვილის სახ. საისტორიო საზოგადოება	1990-1995	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
— „საქართველოს ისტორიის“ სასწავლო რუკები (მასობრივი ტირაჟით)	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	1991-1996	
6. მომზადდეს და გამოიცეს ალბომები: — „ქართლის ცხოვრება“ — „საქართველო“ — „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“ (ფოტოდოკუმენტები)	ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია	1996	
ენციკლოპედიები: — ენციკლოპედია „საქართველო“ (მრავალტომეული)) — ენციკლოპედია „ივანე ჯავახიშვილი“ — ენციკლოპედია-ლექსიკონი და ფოტოალბომი „საქართველო დიდ სამამულო ომში“ — ენციკლოპედია „ქართული სამართალი“			
7. საისტორიო წყაროთა და ისტორიოგრაფიულ ნაშრომთა პუბლიკაციის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი პოლიგრაფიული ბაზის განსამტკიცებლად	საქართველოს სსრ ბეჭდვსახკომი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1990-1995	
IV. ტექნიკური აღჭურვილობა და თვალსაჩინოება			
1. რესპუბლიკის საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ისტორიის კაბინეტების აღჭურვა თანამედროვე სასწავლო-ტექნიკური საშუალებებით	საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების. სამინისტრო	რეგულარულად	
2. საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და კულტურის ისტორიის თემებზე საყმაწვილო და სასწავლო დიაფილმების შექმნა	საქართველოს სსრ კულტურისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროები	1990-1991	
3. საქართველოს ისტორიის სასწავლო პროგრამის გადატანა ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაზე დეკ-2	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო	1990-1991	
4. საქართველოს ისტორიისა და ქართული ხელოვნების ისტორიის საკომპიუტერო ბანკის შექმნა.	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია	1990-1991	
5. საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის წყაროებისა და ძეგლების ავტომატიზებული საძიებო-საინფორმაციო სისტემის შექმნა, კვლევის კომპიუტერიზაციის დანერგვა და შესაბამისი სამეცნიერო კვლევის უზრუნველყოფა უახლესი თაობის გამომთვლელი მანქანებითა და ინდივიდუალური კომპიუტერებით	საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია	1990-1993	
V. საქართველოს ისტორიის პოპულარიზაცია			
1. ბიბლიოგრაფიული საძიებლების, გზამკვლევებისა და ცნობარების შექმნა	ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო	1991-1995	
2. ენციკლოპედიური ლექსიკონების — „საქართველო“, „აფხაზეთი“, „აჭარა“ — შექმნა, თარგმნა და გამოცემა რუსულ და ინგლისურ ენებზე	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ ბეჭდვსახკომი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია	1992-1995	
3. უცხოური ენციკლოპედიების რედაქციების სრულად ინფორმირების მიზნით სპეციალური ბიულეტენის გამოცემა რუსულ და ინგლისურ ენებზე	საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ გამსახკომი	1992 წლიდან	
4. საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღების ფართოდ აღნიშვნა სპეციალური გეგმის მიხედვით	საქართველოს ე. თაყაიშვილის სახ. საისტორიო საზოგადოება, კულტურის ფონდი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება	რეგულარულად	
5. საქართველოს ისტორიის გაცნობისათვის საინფორმაციო-პოპულარიზატორული მუშაობის გაფართოება და გაუმჯობესება (საჯარო ლექცია-მოხსენებები, სამეცნიერო-პოპულარული ბროშურები და სხვ.)	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ინსტიტუტები, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“	რეგულარულად	
6. რესპუბლიკაში საექსკურსიო მომსახურებისა და ექსკურსიამძღოლთა მომზადების გაუმჯობესება. და ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე გზამკვლევებისა და ბუკლეტების გამოცემა	საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, საქართველოს სსრ ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭო, „ინტურისტი“, საქართველოს სსრ ბეჭდვსაკომი	1990 წლიდან	
7. თბილისში ქართველოლოგთა ხეივნის შექმნა, სადაც დაიდგმება გამოჩენილ ქართველ და არაქართველ ქართველოლოგთა ბიუსტები	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს ე. თაყაიშვილის სახ. საისტორიო საზოგადოება, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი	1995 წლიდან	
VI. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი			
1. სასწავლო ტელეგადაცემების მომზადება საქართველოს ისტორიის საკითხებზე	საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი	რეგულარულად	
2. მხატვრული და დოკუმენტური სასწავლო ფილმების შექმნა საქართველოს ისტორიის თემებზე	საქართველოს სსრ კულტურისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროები	რეგულარულად	
3. საქართველოს ისტორიის საკითხების გაშუქება უურნალ-გაზეთებში	პრესის ორგანოები	რეგულარულად	
VII. საგარეო სამეცნიერო-კულტურული კავშირურთიერთობანი			
1. საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობის, აგრეთვე, უცხოეთის ქართველოლოგიური სამეცნიერო ცენტრებისა, საქართველოს ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი ცალკეული სპეციალისტებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობისა და ქართველმცოდნეობის შემდგომი განვითარების მიზნით გამოიყოს სახსრები საზღვარგარეთ გამომავალი ქართველოლოგიური ეურნალებისათვის დახმარების გასაწევად და მათ გამოსაწერად რესპუბლიკის ყველა დაინტერესებული სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებისათვის	საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ე. თაყაიშვილის სახ. საისტორიო საზოგადოება, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი	1990 წლიდან	
2. მახსობრივი ინფორმაციისა და სპეციალური სამეცნიერო პუბლიკაციების საშუალებით ფართო საზოგადოებრიობის ინფორმირება უცხოეთში არსებული მეშუარული ლიტერატურის, საარქივო და სხვა საისტორიო მასალის შესახებ	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რესპუბლიკური ეურნალ-გაზეთები	პერიოდულად	
3. ეროვნული სასულიერო და საერო კულტურის ძეგლების ნაგებობათა არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტების აღსაკვეთად მათი სრული ნუსხის შედგენა და სათანადო ღონისძიებათა დასახვა	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება	1990	
4. ქართველთა ყოფისა და კულტურის შესწავლა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ — პლასტუნკაში, საინგილოში, ფერეიდანსა და თურქეთში	საქართველოს ე. თაყაიშვილის სახ. საისტორიო საზოგადოება, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, კულტურის ფონდი	1990-2000	
5. ქართველთა და ქართველ ებრაელთა ისტორიული და თანამედროვე ურთიერთობის კვლევა; ქართველ ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის აღდგენა თბილისში	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ე. თაყაიშვილის სახ. საისტორიო საზოგადოება	1990-1995	
6. ქართულ-აღმოსავლურ ურთიერთობათა კვლევის შემდგომი განვითარება	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	1990-2005	
7. ქართველთმცოდნეობის კვლევის საერთაშორისო პროგრამისა და ქართველთმცოდნეთა საერთაშორისო ასოციაციის შექმნა	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ე. თაყაიშვილის სახ. საისტორიო საზოგადოება, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო.	1990-1992	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ყრილობამ განიხილა და იმსჯელა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წესდების პროექტზე. გამოითქვა მრავალი წინადადება და მოსაზრება. მათ გასათვალისწინებლად ყრილობამ შექმნა სარედაქციო კომისია, რომელმაც ყველა მოსაზრება და შენიშვნა გაითვალისწინა. წესდების პროექტის საბოლოო ვარიანტზე იმსჯელა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნომ. ვაქვეყნებთ წესდების პროექტს. თუ გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში ჟურნალისტთა კავშირში არ შემოვა შენიშვნები, წესდება მიღებულად ჩაითვლება.

პროექტი

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წესდება

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი (სკკ) დამოუკიდებელი, ნებაყოფლობითი, პროფესიონალ ჟურნალისტთა შემოქმედებითი გაერთიანებაა. სკკ წევრობა შეუძლია რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეროვნების თუ სარწმუნოების ადამიანს, რომელიც აღიარებს მის წესდებას, აგრეთვე ყველა იმ პირს, რომელიც რესპუბლიკის ტერიტორიის გაუთ ცხოვრობს, გაიზიარებს წესდებას და აქტიურად ითანამშრომლებს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

2. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი მოღვაწეობს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად.

3. სკკ თანამშრომლობს რესპუბლიკების, საკავშირო და სსრკ ფარგლებს გარეთ არსებულ ჟურნალისტურ გაერთიანებებთან.

4. სკკ სამდივნო ქალაქ თბილისშია.

II. მიზანდასახულობანი

1. ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და გამოხატვის უმთავრესი საშუალებაა. იგი უნდა ამკვიდრებდეს ზოგადადამიანურ, ზნეობრივ პრინციპებს, ოპერატიულად და ობიექტურად ამუქებდეს ყველა პარტიის, საზოგადოების, ორგანიზაციისა და სხვა გაერთიანებათა საქმიანობას.

2. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის უპირველესი ამოცანაა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული იდეალების ხორცშესხმისათვის, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელთა კონსოლიდაციისათვის, სულიერი ამაღლებისათვის, სიტყვის თავისუფლებისათვის ზრუნვა.

3. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი ზრუნავს თავისი წევრების სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, იცავს მათ კანონიერ უფლებებს და შემოქმედების თავისუფლებას.

4. სკკ იღებს ჟურნალისტთა კადრების მოსამზადებლად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ მიზნით:

ა. ქმნის შემოქმედებითს გაერთიანებებს, სექციებს, კლუბებს; მართავს კონფერენციებს; აწყობს შემოქმედებითს კონკურსებს, სემინარებს, გამოფენებს, შეხვედრებს და ა. შ.

ბ. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრებს წარადგენს სახელმწიფო პრემიებზე, ჯილდოებზე და საპატიო წოდებათა მოსაპოვებლად;

გ. უქმნის თავის წევრებს საყოფაცხოვრებო და კულტურული დასვენების პირობებს; საჭიროებისამებრ მატერიალურად ეხმარება მათ.

III. წევრობა

1. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრები შეიძლება გახდნენ ის შემოქმედებითი მუშაკები, რომლებიც მუშაობენ ჟურნალისტიკის დარგში (პრესა, ტელევიზია, რადიო, საინფორმაციო საგენტო, გამომცემლობა, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პედაგოგ-მასწავლებლები).

2. წევრად მიღება ხდება ჟურნალისტური მოღვაწეობის სამი წლის შემდეგ, პირადი განცხადების საფუძველზე.

3. განცხადებას განიხილავს ჟურნალისტთა პირველადი ორგანიზაცია და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას განმცხადებლის თანდასწრებით. პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილ ებას განიხილავს სკკ-ის წევრად მიღების კომისია და ამტკიცებს სამდივნო.

4. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში წევრად მიღებისას ყურადღება ექცევა კანდიდატის პროფესიულ დონეს და პრაქტიკულ მოღვაწეობას.

5. ჟურნალისტს უფლება აქვს ერთდროულად იყოს როგორც სკკ, ასევე სსრკ და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ჟურნალისტთა ორგანიზაციების წევრი.

6. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი ვალდებულია იცავდეს სკკ წესდებასა და პროფესიული ეთიკის ნორმებს, ეწეოდეს აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას.

7. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი ორგანიზაციიდან გასულად ითვლება:

ა. პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ. სკკ-ის წესდების შეუსრულებლობისათვის ან პროფესიული ეთიკის ნორმების უხეში დარღვევისათვის.

8. პირველადი ორგანიზაცია უფლებამოსილია წესდების შეუსრულებლობისა და ჟურნალისტური ეთიკის დარღვევისათვის უნდობლობა გამოუცხადოს წევრს და დასვას საქართველოს ჟურნალისტთა კავშირიდან გარიცხვის საკითხი. ეს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს პირველადი ორგანიზაციის წევრთა 2/3-ის უმრავლესობით. პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას ამტკიცებს სკკ-ის სამდივნო, გაღაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, საკითხს იხილავს ჟურნალისტთა კავშირის პროფესიული ეთიკისა და უფლების დაცვის საბჭო (პეუდსი).

9. სკკ-ის ყველა წევრს ეძლევა საწევრო ბილეთი და სამკერდე ნიშანი.

IV. მმართველობა

1. სკკ-ის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც მოიწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე ყრილობის მოწვევა შეიძლება გამგეობის გადაწყვეტილებით ან სკკ წევრთა ნახევრის მოთხოვნით.

2. ყრილობის მოწვევა სკკ წევრებს ეცნობებათ სამი თვით ადრე, რიგგარეშე ყრილობის მოწვევა კი არაუგვიანეს ერთი თვისა.

3. ყრილობის წარმომადგენლობითს ნორმებს ადგენს სკკ-ის გამგეობა. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს დელეგატთა ორი მესამედი.

4. საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობა:

ა. ხმების უმრავლესობით იღებს წესდებას და საჭიროებისამებრ ცვლის მას. ამტკიცებს ჟურნალისტთა კავშირის და მისი პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების დებულებას;

ბ. ისმენს და ამტკიცებს კავშირის თავმჯდომარის სამდივნოს გამგეობის, პროფესიული ეთიკისა და უფლებების დაცვის საბჭოს, ჟურნალისტთა ფონდის ანგარიშებს, განსაზღვრავს სკკ მოღვაწეობის ძირითად მიმართულებებს;

გ. ირჩევს ფარული ან ღია კენჭისყრით საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარეს (ხედიზედ მხოლოდ ორჯერ აირჩევა) და მდივნებს, გამგეობას, აგრეთვე პროფესიული ეთიკისა და უფლებების დაცვის საბჭოს (პეუდსს):

დ. ყრილობათა შორის პერიოდში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მუშაობას წარმართავს გამგეობის სხდომა (პლენუმი) და სამდივნო.

5. პლენუმი.

ა. ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სხდომა (პლენუმი) ჟურნალისტთა ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვან საკითხთა განხილვის გარდა ამტკიცებს პლენუმებს შორის პერიოდში ჟურნალისტთა კავშირის სამოქმედო პროგრამას;

ბ. გამგეობის სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი;

გ. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

6. სკკ სამდივნო:

ა. ხელმძღვანელობს ჟურნალისტთა კავშირის მუშაობას, განიხილავს ოპერატიულ საკითხებს.

ბ. იღებს სკკ წევრთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად; განაგებს სამეურნეო საქმიანობას, ქმნის საკუთარ და ერთობლივ საწარმოებს საკავშირო და უცხოურ ფირმებთან, კოოპერატივებს და დამხმარე მეურნეობებს;

გ. წარადგენს სკკ-ის წევრებს საპატიო ჯილდოებზე;

დ. ამტკიცებს პირველადი ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს სკკ-ის წევრთა მიღების და გასვლის შესახებ;

ე. განაგებს სკკ-ის უძრავ-მოძრავ ქონებას.

V. პროფესიული ეთიკის და უფლებების დაცვის საბჭო (პეუდსი)

1. პეუდსს ირჩევს ჟურნალისტთა ყრილობა. პეუდსის მთავარი მიზანია გამოიყენოს სკკ იურიდიული სტატუსი და დაიცვას მისი წევრების კანონიერი უფლებები, შემოქმედებითი თავისუფლება საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე.

2. პეუდსი განიხილავს ჟურნალისტთა აპელაციებს, წინადადებებს, პრეტენზიებს, იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს.

3. პეუდსი ამოწმებს ჟურნალისტთა კავშირს დაქვემდებარებული წარმოებები და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას.

მისი სხდომები იმართება საჭიროებისამებრ.

VI. ავტონომიურ ფორმირებათა და რეგიონალური ჟურნალისტური ორგანიზაციები

1. საქართველოს ავტონომიურ ფორმირებათა (აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირი, აჭარის ჟურნალისტთა კავშირი, სამხრეთ ოსეთის ჟურნალისტთა საოლქო ორგანიზაცია) და რეგიონალური ჟურნალისტური ორგანიზაციები შესაბამის ტერიტორიებზე ეწევიან მდელ ორგანიზაციულ-შემოქმედებითს საქმიანობას, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წესდება, ყრილობების, გამგეობის სხდომათა და სამდივნოს გადაწყვეტილებები.

2. მათი ძირითადი მოვალეობაა:

ა. უხელმძღვანელონ ჟურნალისტთა კავშირის პირველად ორგანიზაციებს;

ბ. მოაწყონ ყველა ის ღონისძიება, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტონომიური ფორმირებისა თუ რეგიონის ჟურნალისტთა პროფესიულ დაოსტატებას, მათს შემოქმედებითს ზრდას;

გ. აღძრან შუამდგომლობა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წინაშე კავშირში მიღებული ახალი წევრების დამტკიცების თაობაზე, უზრუნველყონ წევრთა აღრიცხვიანობა;

დ. მეთვალყურეობა გაუწიონ საწევრო ანარიცხების აკრეფა-ჩაბარებას, კანონიერად ხარჯონ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიერ გამოყოფილი სახსრები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

ე. რეკომენდაცია გაუწიონ თავიანთ წარმომადგენლებს იმ დელეგაციათა შემადგენლობაში, რომლებსაც სკკ გზავნის საზღვარგარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

3. ხელი შეუწყონ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნოს უცხოელ ჟურნალისტთა დელეგაციების მიღებაში და მათთან მუშაობაში;

ზ. ხელი შეუწყონ ჟურნალისტთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას.

3. ავტონომიურ ფორმირებათა ჟურნალისტური ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც მოიწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ, ხოლო რეგიონალური ორგანიზაციებისა — ბიუროს სხდომები.

ყრილობის დელეგატებს ირჩევენ პირველადი ორგანიზაციების კრებებზე შესაბამისი გამგეობის მიერ დადგენილი ნორმებით საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მიერ დამტკიცებული დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

ავტონომიური ფორმირებების ჟურნალისტთა კავშირების ყრილობები ისმენენ თავისი გამგეობისა და პროფესიული ეთიკისა და უფლების დაცვის საბჭოს ანგარიშებს, განსაზღვრავენ ჟურნალისტთა ორგანიზაციების ძირითად ამოცანებს, კენჭისყრით ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს, მდივანსა და პეუდსის წევრებს.

რეგიონალური ორგანიზაციები ირჩევენ თავმჯდომარეს, ბიუროს და პეუდსს.

VII. პირველადი ჟურნალისტური ორგანიზაციები

1. პირველადი ორგანიზაციები იქმნება კავშირის წევრთა სამუშაო ადგილის მიხედვით პრესისა და ტელე-რადიო რედაქციებში, გამომცემლობებში, საინფორმაციო საგენტოებში, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, სადაც სულ ცოტა კავშირის 5 წევრია.

2. პირველადი ორგანიზაციები:

ა. თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წესდებით;

ბ. კრებენ საწევრო გადასახადებს;

გ. ჟურნალისტთა კავშირის სამდივნოს წინაშე წარადგენენ კანდიდატურათა რეკომენდაციებს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის რიგებში მიღების შემდეგ;

დ. ზრუნავენ ორგანიზაციის წევრთა შემოქმედებითი მუშაობის პირობების გაუმჯობესებისა და მათი პროფესიული სრულყოფისათვის;

ე. გამორჩეულებს წარადგენენ პრემიებისა და ჯილდოების მისაღებად;

ვ. პირველადი ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოა საერთო კრება.

4. პირველადს ორგანიზაციას ხელმძღვანელობს კრების მიერ არჩეული მდივანი, ხოლო თუ მასში ოცდაათზე მეტი წევრია — ბიურო.

პირველადი ორგანიზაციის მდივანი ვალდებულია წელიწადში ერთხელ ანგარიში ჩააბაროს საერთო კრებას.

5. კავშირის პენსიაზე გასული წევრები აღრიცხვაზე რჩებიან უკანასკნელი სამუშაო ადგილის პირველადს ორგანიზაციებში.

VIII. საქართველოს ჟურნალისტთა ფონდი

1. საქართველოს ჟურნალისტთა ფონდის მიზანია სკკ წევრთა შემოქმედებითი და სამეურნეო საქმიანობის წახალისება, მათი სოციალური, ყოფითი და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

2. საქართველოს ჟურნალისტთა ფონდი შედგება სკკ შემოსავლიდან: ჰონორარის პროცენტებიდან (პრესის, ტელევიზიის, რადიოს და გამომცემლობების ანარიცხებიდან), საკუთარი მეურნეობების, კოოპერატივების, მაღაზიების, ფირმების, საწარმოების მოგებიდან, ჟურნალისტთა საწევრო ანარიცხებიდან, შემოწირულობებიდან და სხვა.

3. ჟურნალისტთა ფონდი ყოველთვიურ პენსიას უნიშნავს კავშირის იმ წევრებს, რომლებიც პენსიაზე გასვლის შემდეგ არსად არ მუშაობენ და მათი ჟურნალისტიკის სისტემაში მუშაობის სტაჟი შეადგენს სულ ცოტა 25 წელს.

4. საქართველოს ჟურნალისტთა ფონდი თანამშრომლობს სსრკ და მსოფლიოს ანალოგიურ და სხვა ორგანიზაციებთან პარიტეტულ საფუძველზე.

5. ჟურნალისტთა ფონდის ფინანსურ და ორგანიზაციულ მუშაობას წარმართავს სკკ სამდივნო.

IX. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სახსრები

1. სკკ სახსრებს შეადგენს: გაწევრიანებისა და საწევრო გადასახადების, საქართველოს ჟურნალისტთა ფონდის თანხა, საგამომცემლო თუ სამეურნეო საქმიანობით შემოსული თანხები, კავშირის წევრთა პუბლიკაციების ჰონორარის პროცენტი, ფასიანი ღონისძიებების შემოსავალი, ორგანიზაციათა და კერძო პირთა შემოწირულობანი.

2. გადასახადები:

ა. გაწევრიანების გადასახადი — 5 მანეთი;

ბ. წლიური საწევრო გადასახადი — 20 მანეთი;

გ. უმუშევარი პენსიონერებისათვის — 3 მანეთი წელიწადში;

3. ჟურნალისტთა კავშირი, როგორც იურიდიული პირი, უფლებამოსილია თავისუფლად გამოიყენოს საკუთარი სახსრები.

4. სკკ-ს შეუძლია დადგენილი წესით გამოუშვას და შეიძინოს აქციები, სხვა ფასიანი ქაღალდები, გაათამაშოს ფულისა და ნივთების ლატარია.

5. სკკ ქმნის თავის სავალუტო ფონდს.

6. ჟურნალისტთა კავშირი სახსრებს გამოიყენებს:

ა. მშენებლობის დასაფინანსებლად (საცხოვრებელი სახლები, დასასვენებელი და შემოქმედებითი ბაზები, სამკურნალო დაწესებულებები);

ბ. საწარმოო და კოოპერაციული საქმიანობის გასაფართოებლად;

გ. შემოქმედებითი კონკურსების მოსაწყობად და ყოველწლიური პრემიებისათვის;

დ. დროებით შრომისუნარდაკარგულ, სამკურნალოდ მყოფ ან მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ჟურნალისტთა ან მათი ოჯახის წევრების დასახმარებლად;

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის აპარატის შენახვისა და შენობების ექსპლოატაციისათვის;

3. სხვა საჭირო საქმიანობისათვის (დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემები, საქველმოქმედო ღონისძიებები, სკკ-ის სახელობითი სტიპენდიები და ა. შ.);

7. ყველა ფინანსური ოპერაცია ეკისრება ჟურნალისტთა ფონდის საბუღალტრო დარგის მუშაკს, რომელიც ფონდის დირექტორთან ერთად პასუხისმგებელია ამ საქმიანობისთვის.

8. სკკ-ის ძირითად მფლობელობაშია მისი უძრავი და მოძრავი ქონება.

X. იურიდიული სტატუსი

1. სკკ იურიდიული პირია.

2. სკკ-ს აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი.

3. მას აქვს საგამომცემლო და საეთერო უფლება, გამოსცემს გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, იღებს კინო-ვიდეო ფილმებს.

XI. ჟურნალისტთა კავშირის გაუქმება

1. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს აუქმებს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ყრილობა დელეგატთა ხმების 4/5-ის გადაწყვეტილებით.

2. სკკ-ის გაუქმების შემთხვევაში სახსრები და ქონება სალიკვიდაციო კომისიას გადაეცემა.

ვინ ხელჰყოფს მინას მარჩენალს?!

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის საბჭო, რომლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა რესპუბლიკაში მიწის კანონმდებლობის მოთხოვნათა სრულყოფა და მის განხორციელებაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება. ამ საკითხზე „ლიტერატურული საქართველოს“ კორესპონდენტის თხოვნით გვესაუბრება აღნიშნული მთავარი სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკაში მიწების გამოყენებისა და დაცვის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ბურამ ჩიკაძე.

იუზიათია ისეთი მცირემიწიანი ქვეყანა, როგორიც საქართველოა. ამაზე ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა. და მით უფრო სამწუხაროა, რომ განსაკუთრებთი ჩვენში არ ვუფრთხილდებით ამ ყველაზე ძვირფას საკაცობრიო განძს. ათეული წლების მანძილზე საზოგადოებრივი მეურნეობების ერთი ნაწილი მიწას ისე ანაწილებდა, როგორც მოებრიანებოდა, სურდა გასცემდა, გაასაჩუქრებდა, ხელს შეუწყობდა მის გაყიდვასაც კი. კანონი მიწის შესახებ საკმაოდ მკაცრი გვქონდა, მაგრამ ყველგან არ მოქმედებდა. ყველაზე სავალალო ის არის, რომ ქართველთა სისხლით გაჟღენთილ და მკერდით დაცულ მიწას განსაკუთრებით ეპატრონებოდნენ ჩამოსული სხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. და ეს ხდებოდა ზოგჯერ ინტერნაციონალიზმის ყალბი ნიღბით. ამ გზით შეიხიზნულნი თუ რა დღეში გვაგდებენ ახლა, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ქვემოთ მოყვანილი ფაქტებით მკითხველი ერთხელ კიდევ დარწმუნდება თუ რას ვითომენდით და ვაჩუმათებდით, როგორ ვუთრიდით ძრს ჩვენს მომავალს. მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ამ მხრივ ახლა საქმეს დიდი გაუმჯობესება დასტყობოდეს. ბევრი ძათვანი, ვისაც ლომის წილი უდევს ქართული მიწის გასხვისებაში, ისევ მაღალ პოსტზეა და, აქაოდა სავარძელი არ დავკარგოო, ამის გამხელაც არ უნდა, რაშიც „სცდებოდა“. ყოველნაირად ცდილობს, რომ ყველაფერი არ გამეღავნდეს. ზოგი ხელმძღვანელი კი მოწადინებულია „ობიექტური“ მიზეზებით ახსნას წარსული ფიასკოებისა, არ გამაწვიოს ვითარება, არ აწყენინოს მავანსა და მავანს, რათა მასაც არავინ გადაუბადოს სამაგიერო. თანამედროვე გარდამქმნის ბუნება ვერ ეგუება ამას, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ასეთები ამუხრუჭებენ გარდაქმნას.

უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწათმოქმედების კულტურა და მიწების გამოყენება. სახნავად და მრავალწლოვანი ნარგავების გასაშენებლად საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ათი ათასეულ 67 ათას ჰექტარზე მეტი უამრი, ნასვენი და მიგდებული მიწები. ამის შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გაიზარდა 47,5 ათასი ჰექტარით, სახნავი — 14,1 ათასი ჰექტარით. 4,5 ათასი ჰექტარი შეემატა საკარმიდამო მიწების ფართობსაც.

გაკეთებული კიდევ სხვაც ბევრია, მაგრამ დადებითი ძვრების მიუხედავად რესპუბლიკაში მიწათსარგებლობის წესების დაცვა მაინც ვერ არის ჯეროვან დონეზე. არის მრავალგვარი დარღვევები, დანაშაულებრივი მოქმედებანი, რაც თავისთავად განაპირობებს სავარგულების არარაციონალურ გამოყენებას, ხოლო მისი მიტაცებისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება. ჩვენ ამჯერად მხოლოდ ნეგატიურ მოვლენებზე შევაჩერებთ ყურადღებას, რათა, ვისაც ეს ეხება, ერთხელ და სამუდამოდ შეიგნოს, რომ დროა მიწათსარგებლობაში წესრიგი დამყარდეს.

კანონით განსაკუთრებით იზღუდება სამოქალაქო მშენებლობისათვის ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყოფა. ამის მიუხედავად უკანასკნელ ათ წელიწადში ამ დანიშნულებით და შიდასამეურნეო მშენებლობისათვის 25,4 ათასი ჰექტარი გამოიყო, აქედან სახნავი და მრავალწლოვანი ნარგავებია 7 ათასამდე ჰექტარი. აღსანიშნავია, რომ მიწების გამოყოფა ორგანიზაციებისათვის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების გარეშე, რაიონის მესვეურთა ნება-სურვილით ხდებოდა, მაგალითად, ყვარლის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის 1982 წლის 30 დეკემბრის № 27 გადაწყვეტილებით, სასოფლო საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამეურნეობათა მორისო რესპუბლიკური გაერთიანების კომბინატის ფილიალის მოსაწყობად, ასე გამოიყო 1,5 ჰექტარი საძოვარი ახალოფლის სანერგე საბჭოთა მეურნეობის ფართობიდან, ხოლო იმავე აღმასკომის 1987 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით „ავტოტექმომსახურების“ გამოეყო 0,5 ჰექტარი ენისლის საბჭოთა მეურნეობის კუთვნილი ფართობი მდინარე ჩელთის მარჯვენა ნაპირზე. ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის 0,15 ჰექტარი საძოვარი დაიკავა ავტმაღაზიამ, ამავე ტერიტორიის მახლობლად „ავტოტექმომსახურების“ „ვაზ“-ის ფილიალის სამრეცხაოსა და პროფილაქტიკას დაკავებული აქვს 0,5 ჰექტარი. ასეთი მაგალითები, სამწუხაროდ, რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიონშიც არ არის საძებარი. მაგრამ მოდით, ამჯერად მეზობელ ლაგოდეხის რაიონში გადავიანაცვლოთ. აქ რაისაბჭოს აღმასკომის მითითებით სოფელ ყაბალის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ 1988 წლის 22 მარტს „სპეცრემშენყოფის“ საავჯრო საწყობის ასაგებად დროებით სარგებლობაში გამოჰყო 0,3 ჰექტარი საძოვარი, რომელიც მალე შემოღობეს კიდეც რკინა-ბეტონით. თუმცა მიწის გამოყოფაზე არცერთი ინსტანციის არავითარი საბუთი არ არსებობს. სოფელ ბაისუბნის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ ყოფილი თავმჯდომარის ა. ბარბაქაძის ინიციატივით, რომელიც შემდგომში მოიხსნა და პარტიიდანაც გაირიცხა მიწების დატაცების ხელშეწყობისათვის, 1987 წლის 2 სექტემბერს საჯაკების კოოპერატივ „უელტეხილის“ თვითნებურად გამოუყო 0,25 ჰექტარი ტყიანი მიწის ფართობი, ხოლო ავტოპროფილაქტიკას მიწის გამოყოფის არსებული წესის გარეშე კოლმეურნეობის მესვეურთა ხელშეწყობით დაკავებული აქვს 0,3 ჰექტარი ფართობი. ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიბაურის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ა. ხოხლენკო) რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გვერდის ავლით, რაისაბჭოს აღმასკომის 1980 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, „საქსოფლდამზადების“ ტარამასლების ქარხანას დაკავებული აქვს 2,7 ჰექტარი, ქ. ოზურგეთის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ გ. ცერცვაძის თავმჯდომარეობის პერიოდში, 385 ოჯახ ამჟამად ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ეკონომისტია, საბურავების მიმღებ-შემცველი ბაზისთვის კანონის დარღვევით გამოჰყო 3 ჰექტარი ამორტიზებული ჩაის პლანტაცია. ოზურგეთის მაღაროთსამმართველო ამავე კოლმეურნეობაში სახლების მშენებლობისათვის უკანონოდ დაეუფლა ერთ ჰექტარ საძოვარს, 0,30 ჰექტარ სათიბში კი მეღორეობის ფერმა მოაწყო. ბაღლეთის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — გ. მეხუბლა) ჩაის ფაბრიკამ დაანგაგვინ არიან ისინი, ვისაც შედარებით მეტი ცოდვა აწევს მიწების განაიებაში? ამ მხრივ ყველაზე დაზარალებული აღმოჩნდა მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, ცხინვალის, ზნაურის, ადიგენისა და სხვა რაიონები. ჩვენს ხელთ არსებული შემოწმების მასალების მიხედვით მარნეულის რაიონში კანონის დარღვევით 167 ოჯახს გამოეყო 15,95 ჰექტარი სახოგადოებრივი მიწა, 385 ოჯახს მიტაცებული აღმოჩენილა 46,39 ჰექტარი, 286 ოჯახმა მიტაცებულ მიწებზე აიშენა ან იშენებდა საცხოვრებელ სახლს. საგამმძიებლო ორგანოებს გადაეცათ მიწის კანონმდებლობის დარღვევის 164 და თვითნებური მშენებლობის 73 საქმე. 356 მოქალაქეს ჩამოერთვა მიტაცებული 59 ჰექტარი მიწა. გარდაბნის რაიონში მეურნეობათა მესვეურებმა 217 ოჯახს უკანონოდ გამოუყვეს 313ჰექტარი მიწა, ხოლო 314 ოჯახმა 92 ჰექტარი მიწა მიიტაცა. ქ. თბილისის გარეუბნებში 18 ჰექტარი მიწა მიიტაცა 118 ოჯახმა, 582 ოჯახი ნორმის გადამეტებით ფლობს 115 ჰექტარ ჩამონაჭერს, მრავალ ოჯახს უკანონოდ აქვს ნაყიდი საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობაში ხელს არავინ უშლის...

ცალკეულ პირთა თავხედობა ზოგჯერ ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ყვარლის რაიონის ჭინძრაურების მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მოქალაქეები 1981 წელს ვანდალურად შეიჭრნენ 1,5 ჰექტარ თუთის ხის ნარგავებში და ერთიანად დაეუფლნენ ფართობს. მეურნეობის დირექციამ დაუყოვნებლივ მიმართა რაიპროკურატურას დახმარებისათვის. პროკურატურამ საქმე გადასცა რაიონს შინაგან საქმეთა განყოფილებას და დაავალა უზრუნველეყო დაკავებული ფართობის დაუყოვნებლივ განთავისუფლება, ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ ორჯერ უფრო მეტი ფართობი მიიტაცეს (?!).

დიდი დარღვევები იყო გამოვლენილი სართიჭალის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც 309 ოჯახს ზედმეტ სარგებლობაში ჰქონდა 45 ჰექტარი, 232 მოქალაქე, რომლებსაც სოფელთან კავშირი აღარა აქვთ, ძველებურად სარგებლობდნენ 52 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთით. სოფელში გავრცელებული იყო ქართველი მოსახლეობის მიერ არაქართველებზე სახლების ფარული ყიდვა-გაყიდვის აქციი. მასალები ამ დარღვევებზე ჯერ კიდევ 1987 წლის ზაფხულში გაითხოვეს მილიციის ორგანოებმა, მაგრამ შედეგები არ მოჰყოლია. მიწათსარგებლობაში დარღვევები სამწუხაროდ, რაიონის თითქმის ყველა სოფელშია.

გარდაბანში ჯეროვნად არ სჯიან იმ თანამდებობის პირებს, რომელთა წაყრუებისა და უსულგულობის შედეგად ძასობრივად ეშე კოლმეურნეობის მესვეურთა ხელშეწყობით დაკავებული აქვს 0,3 ჰექტარი ფართობი. ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიბაურის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ა. ხოხლენკო) რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გვერდის ავლით, რაისაბჭოს აღმასკომის 1980 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, „საქსოფლდამზადების“ ტარამასლების ქარხანას დაკავებული აქვს 2,7 ჰექტარი, ქ. ოზურგეთის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ გ. ცერცვაძის თავმჯდომარეობის პერიოდში, 385 ოჯახ ამჟამად ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ეკონომისტია, საბურავების მიმღებ-შემცველი ბაზისთვის კანონის დარღვევით გამოჰყო 3 ჰექტარი ამორტიზებული ჩაის პლანტაცია. ოზურგეთის მაღაროთსამმართველო ამავე კოლმეურნეობაში სახლების მშენებლობისათვის უკანონოდ დაეუფლა ერთ ჰექტარ საძოვარს, 0,30 ჰექტარ სათიბში კი მეღორეობის ფერმა მოაწყო. ბაღლეთის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — გ. მეხუბლა) ჩაის ფაბრიკამ დაანგაგვინ არიან ისინი, ვისაც შედარებით მეტი ცოდვა აწევს მიწების განაიებაში? ამ მხრივ ყველაზე დაზარალებული აღმოჩნდა მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, ცხინვალი, ზნაური, ადიგენისა და სხვა რაიონები. ჩვენს ხელთ არსებული შემოწმების მასალების მიხედვით მარნეულის რაიონში კანონის დარღვევით 167 ოჯახს გამოეყო 15,95 ჰექტარი საზოგადოებრივი მიწა, 385 ოჯახს მიტაცებული აღმოჩენილა 46,39 ჰექტარი, 286 ოჯახმა მიტაცებულ მიწებზე აიშენა ან იშენებდა საცხოვრებელ სახლს. საგამმძიებლო ორგანოებს გადაეცათ მიწის კანონმდებლობის დარღვევის 164 და თვითნებური მშენებლობის 73 საქმე. 356 მოქალაქეს ჩამოერთვა მიტაცებული 59 ჰექტარი მიწა. გარდაბნის რაიონში მეურნეობათა მესვეურებმა 217 ოჯახს უკანონოდ გამოუყვეს 313ჰექტარი მიწა, ხოლო 314 ოჯახმა 92 ჰექტარი მიწა მიიტაცა. ქ. თბილისის გარეუბნებში 18 ჰექტარი მიწა მიიტაცა 118 ოჯახმა, 582 ოჯახი ნორმის გადამეტებით ფლობს 115 ჰექტარ ჩამონაჭერს, მრავალ ოჯახს უკანონოდ აქვს ნაყიდი საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობაში ხელს არავინ უშლის...

ცალკეულ პირთა თავხედობა ზოგჯერ ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ყვარლის რაიონის ჭინძრაურების მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მოქალაქეები 1981 წელს ვანდალურად შეიჭრნენ 1,5 ჰექტარ თუთის ხის ნარგავებში და ერთიანად დაე

ძმობის ფესვები საუკუნეთა სიღრმიდან მოდის

ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პირველი ყრილობა

ოცდაეროსაუკუნოვანი შარავანდედი ადგას ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრებას. ამ უნიკალური მოვლენის ისტორიული ასპექტის შესასწავლად უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები. 1988 წლის დეკემბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა სამეცნიერო-კულტურულ-საზოგადოებრივი ორგანიზაცია ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაცია, რომელიც მიზნად ისახავს ამ ორი ხალხის საუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის წარმოჩენას და შემდგომ განვითარება-განმტკიცებას, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიღწევების ურთიერთგაცნობას, შესწავლასა და პოპულარიზაციას. იგი ზრუნავს და ხელს უწყობს, ერთი მხრივ საქართველოში ებრაული კულტურისა და ისტორიის ძეგლთა, და მეორე მხრივ, ისრაელში საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა გამოვლენას, აღრიცხვას, მეცნიერულ შესწავლას და აღდგენა-დაცვას...

ამ დღეებში თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა ასოციაციის პირველი ყრილობა. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ანდრია აფაქიძემ. გაწეულ მუშაობასა და სამომავლო გეგმებზე მოხსენებით გამოვიდა ასოციაციის პრეზიდენტი გივი ღამბაშიძე.

ყრილობის მონაწილეთ მისალმნენ ასოციაციის საბა კლდიაშვილის სახელობის ქართველ და ებრაელ ახალგაზრდათა კავშირის თავმჯდომარე თეიმურაზ იაკობაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალეგ წერეთელი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი როინ მეტრეველი, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე, პროფესორი ნოდარ ნათაძე, მწერლები გურამ ბათიაშვილი, გიორგი ხუხაშვილი, უშანგ რიყინაშვილი, კინოკრიტიკოსი ოთარ სეფიაშვილი, პროფესორი ედუარ მამისთვალაშვილი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე პეტრე კაკურაძე, ენათმეცნიერი თინათინ ცქიტიშვილი, კომპოზიტორი სოსო ბარდანაშვილი, ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი შალვა წიწუაშვილი, ისრაელის პრემიერ-მინისტრის სამდივნოს წარმომადგენელი გოჩა ელიკიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის . არეოპაგეტური სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი დენიზა სუმბაძე, თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის ანსამბლი „ბერეკეთი“ (ხელმძღვანელი ალექსანდრე ალექსიშვილი), ანსამბლ „ბერეკეთის“ ბალეტმეისტერ ალექსანდრ ალექსიშვილის ბალეტ „ბერეკეთის“ ფრაგმენტი,